გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №15

5 ნოემბერი, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარია იაგანაშვილი.

ესწრებოდნენ: ალ. სირბილაშვილი, გ. ენუქიძე, ლ. გაბიტაშვილი, ვ. ელიზბარაშვილი, ა. ზარდიაშვილი, გ. ბერიკაშვილი, ივ. ნატროშვილი, კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, ი. ჩიტაშვილი, მ. ძამუკაშვილი, მ. მუღალაშვილი, პ. ჯოხაძე, ზ. მინდორაშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ვ. მამისაშვილი, ალ. ზირაქაშვილი, ბ. ზირაქაშვილი.

მოწვეული სტუმრები: გ. პეტრუზაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
ნ. ქაჩლიშვილი – გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ი. მინდიაშვილი – გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფარსტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი.

პრესის, ტელევიზიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე.

/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/ნ. ქაჩლიშვილი/

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის №19 დადგენილებაში „სათამაშო ბიზნესზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/ნ. ჭაბუკაძე/

4. ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

/ივ. ნატროშვილი/

5. ს. ველისციხეში არსებული ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ;

/ლ. ჩიტოშვილი/

6. ს. ძირკოკში არსებული ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ;
/ლ. ჩიტოშვილი/

7. ქ. გურჯაანში, წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე ობიექტებისთვის ნომრის მინიჭების შესახებ;
/დ. გოგებაშვილი/

8. საკრებულოს თავმჯდომარის, ზაქარია იაგანაშვილის მივლინებაში წასვლის შესახებ;
/ლ. ჩიტოშვილი/

9. სხვადასხვა

ზ. იაგანაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ სესიაზე განიხილება კიდევ სამი საკითხი. ესენია: 1) გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე; 2) ქ. გურჯაანში, ი. ნონეშვილის გამზირზე მდებარე კომერციული ფართისთვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ და 3) საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ. საკითხების დამატება კი გამოიწვევს განსახილველ საკითხთა რიგითობის ცვლილებას;

კენჭი უყარეს,

დაადგინეს:

სხდომამ იმუშაოს წარმოდგენილი დღის წესრიგით შეტანილი ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე.

ნ. ქაჩლიშვილმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში მორიგი ცვლილება გამოიწვია შემოსულობების გაზრდამ. თანხა კი, ძირითადად მიმართულ იქნა ინფრასტრუქტურის კუთხით.

ზ. იაგანაშვილმა საკრებულოს წევრებს მიმართა, საკითხის ირგვლივ დაესვათ შეკითხვები.

– გ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ ქ. გურჯაანის №1 საჯარო სკოლაში არსებულ საკანალიზაციო სისტემის პრობლემის შესახებ.

– გ. პეტრუზაშვილმა მოახსენა, რომ ეს არ არის მუნიციპალიტეტის ქონება და არც უფლებამოსილებაა ადგილობრივი თვითმმართველობის. აქედან გამომდინარე, აქედან, მხოლოდ წერილის მიწერა შეიძლება კომპეტენტური სამსახურისადმი.
– ზ. იაგანაშვილი დაეთანხმა მას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მხოლოდ ინიციირების უფლებით შემოიფარგლება.

– ალ. ინანაშვილმა დასვა შეკითხვა, ქ. გურჯაანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე დამწვარი საერთო საცხოვრებელი ბინისთვის გამოყოფილი თანხა კონტრეტულად რისთვისაა და თუ შედის მასში შემინვა?
– გ. პეტრუზაშვილმა უპასუხა, რომ ეს თანხა გამოყოფილია მხოლოდ ხის მასალის შესაძენად.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, ზ. იაგანაშვილმა კოლეგებს მიმართა, პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ აზრი, რის მსურვილიც არავი აღმოჩნდა.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ პროექტს.
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით. (პორექტი თან ერთვის). /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილებას მუდამ თან სდევს შესყიდვების გეგმაში ცვლილებებიც. ამიტომ, მიმართა თხოვნით ნ. ქაჩლიშვილს, გაეცნო გამგეობის შესყიდვების კორექტირებული გეგმა და პროქტი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

შესყიდვების გეგმის გაცნობის შემდეგ
კენჭი უაყარეს
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კ. ნაპირელმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ თანდართული დანართით №3.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის №19 დადგენილებაში „სათამაშო ბიზნესზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კ. ნაპირელმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის №19 დადგენილებაში „სათამაშო ბიზნესზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და აღნიშნა, რომ ცვლილება გამოწვეულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით. პროექტი მიხედვით, მოსაკრებელი თითოეული სათამაშო აპარატზე განსაზღვრულია კვარტალში 2000 ლარის ოდენობით, ხოლო ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე – კვარტალში 5000 ლარის ოდენობით.

ალ. სირბილაშვილი დაინტერესდა, თუ როგორია ამ კუთხით შემოსულობა.

– კ. ნაპირელმა აღნიშნა, რომ ამ დროისთვის, ამ კუთხით არსებული შემოსულობა კარგია, მაგრამ რა შედეგი იქნება მომავალში, ამის წინასწარ პროგნოზირება ძნელია.

საკრებულოს წევრებმა მოიწონეს პროექტი, რადგან მისაღებია მოსაკრებლის ოდენობა შუალედურია.

კენჭი უყარეს პროექტს,

დაადგინეს:

დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის №19 დადგენილებაში „სათამაშო ბიზნესზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს;

5. ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

ივ. ნატროშვილმა სხდომის წევრებს გააცნო გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული, გურჯაანის მუნიციპალიტეის ინფრასტრუქტურის განვითარების 2011-2017 წლების პროგრამა. (თან ერთვის)

ი. მინდიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა შეთანხმებულია საქართველოს ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან. თანხებიც გათვლილია ძირითადად დონორი და სახელმწიფო ორგანიზაციებზე. მან აქვე დასძინა, რომ ეს არის სამინისტროსთან შეთანხმებული პროგრამა, რომელიც ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის პროაგრამა, თუ რის გაკეთებაა დაგეგმილი მუნიციპალიტეტში უახლოეს წლებში (2011-2017). ახლა, ძირითადი საზრუნავია საჭირო თანხების მოძიება. იგი თვლის, რომ ეს არის დოკუმენტი, რომელიც საგრძნობლად გააადვილებს ამ ინფრასტრუქტურის კუთხით მუშაობას შემდეგ წლებში.

კენჭი უყარეს და ერთხმად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების 2011-2017 წლების პროგრამა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

6. ს. ველისციხეში არსებული ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ.

ლ. ჩიტოშვილმა შეახსენა სხდომაზე დამსწრეთ, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ დაწყებული იყო საქმის წარმოება. ახლა კი, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის 2010 წლის 22 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს ს. ველისციხის მოსახლეობის ერთი ნაწილის მოთხოვნა და ერთ-ერთ ქუჩას (№1-დან 49-ის ჩათვლით) ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპილი იოსებ ფხაჭიაშვილის სახელი.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
მიენიჭოს ს. ველისციხის ერთ-ერთ ქუჩას (№1-დან 49-ის ჩათვლით) იოსებ ფხაჭიაშვილის სახელი. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
7. ს. ძირკოკში არსებული ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ.

ლ. ჩიტოშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხის შესახებაც დაწყებული იყო საქმის წარმოება, რომლის შემდეგაც ეცნობა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიას რომლის 2010 წლის 22 ოქტომბრის დასკვნის შედეგად, საკრებულოს მიერ, ს. ძირკოკის ერთ-ერთ ქუჩას (№1-დან 22-მდე) უნდა მიენიჭოს ს. ძირკოკის მკვიდრის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი სოსო მახარაშვილის სახელი.

კენჭი უყარეს,
დაადგინეს:
მიენიჭოს ს. ძირკოკის ერთ-ერთ ქუჩას (№1-დან 22-მდე) სოსო მახარაშვილის სახელი. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
8. ქ. გურჯაანში, წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე ობიექტებისთვის ნომრის მინიჭების შესახებ;

დ. გოგებაშვილმა სხდომის წევრებს მოახსენა, რომ შემოსულია სამი განცხადება მოქალაქეთა მიერ, მათ საკუთრებაში არსებული კომერციული ფართებისთვის ნომრის მინიჭების თხოვნით. ესენია: გიორგი ბერიძიშვილის საკუთრებაში არსებული, წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე კომერციული ფართი, ამავე ქუჩაზე არსებული, ლევან მექერიშვილის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართი და ი.ნონეშვილის გამზრზე მდებარე, თინა ხარიტონაშვილი-მანიჟაშვილის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართი.

კენჭი უყარეს საკითს და ერთხმად
დაადგინეს:
1) მიენიჭოს №6 ქ. გურჯაანში, წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე, ლევან მექერიშვილის საკუთრებაში არსებულ კომერციულ ფართს;
2) მიენიჭოს №8 ქ. გურჯაანში, წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე, გიორგი ბერიძიშვილის საკუთრებაში არსებულ კომერციულ ფართს.

მოისმინეს:
9. ქ. გურჯაანში, ი. ნონეშვილის გამზირზე მდებარე კომერციული ფართისთვის ნომრის მინიჭების შესახებ.

დ. გოგებაშვილმა აღნიშნა, რომ შემოსულია მოქალაქე თინა ხარიტონაშვილი-მანიჟაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართისთვის ნომრის მინიჭებას.

ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, ეს არის საკრებულოს უფლებამოსილება, ვალდებილნი არიან დააკმაყოფილონ მოქალაქეთა მოთხოვნა აღნიშნულის შესახებ.

კენჭი უყარეს,
დაადგინეს:
მიენიჭოს №18ᵃ ქ. გურჯაანში, ი. ნონეშვილის ქუჩაზე მდებარე, თინა ხარიტონაშვილი-მანიჟაშვილის საკუთრებაში არსებულ კომერციულ ფართს.
მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
9. საკრებულოს თავმჯდომარის, ზაქარია იაგანაშვილის მივლინებაში წასვლის შესახებ.

ლ. ჩიტოშვილმა სხდომაზე დამსწრეთ მოახსენა, საკრებულოს თავმჯდომარე, ზაქარია იაგანაშვილი მივლინებულ უნდა იქნას ჩეხეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ჩეხური გამოცდილების გასაცნობად, მ/წ 6 დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. თავმჯდომარის მივლინებაში ყოფნის პერიოდში, მისი მოვალეობის შეესრულება დაეკისროს თავმჯდომარის მოადგილეს, ალექსანდრე სირბილაშვილს.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
– მივლინებულ იქნას საკრებულოს თავმჯდომარე, ზაქარია იაგანაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ჩეხური გამოცდილების გასაცნობად, მ/წ 6 დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.
– თავმჯდომარის მივლინებაში ყოფნის პერიოდში, მისი მოვალეობის შესრულება დაეკისროს თავმჯდომარის მოადგილეს, ალექსანდრე სირბილაშვილს.
/მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
10. საპროვატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

ვ. მამისაშვილმა წარმოადინა პროექტი საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი ობიექტების შესახებ. კერძოდ, ესენია:
– ქ. გურჯაანში, წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე 10 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
– შპს „ველისციხის აგროსერვისი – 1“-ის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები: კამაზი – 4310 და საზ – 3507;

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი „საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0/

საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაქარია იაგაანშვილი**